სავალუტო ფორვარდების მნიშვნელობა და მათი გამოყენების სიმცირის მიზეზები საქართველოს ბაზარზე

მარიამ ქიზიყელაშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე სამაგისტრო აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ ბერიშვილი

თემა წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020 წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური წერის კურსის ფარგლებში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბსტრაქტი

რისკების მართვა მსოფლიოში განვითარებული კომპანიების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ობიექტია. აქედან გამომდინარე, რისკების მენეჯმენტი წარმოადგენს სტაბილური სამუშაო პროცესის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საკითხს. ნაშრომში განხილულია უშუალოდ ვალუტასთან დაკავშირებული რისკის დაზღვევის ისეთი მექანიზმი როგორიცაა სავალუტო ფორვარდი. ეს უკანასკნელი, საჭირო ბერკეტია იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ჩართულები არიან საგარეო ვაჭრობაში.

საკვლევ საკითხს წარმოადგენს სავალუტო ფორვარდების შესახებ ინფორმაციის ფლობის დონე და გამოყენების სიმცირის მიზეზები საქართველოს იმპორტიორ და ექსპორტიორ კომპანიებში. კვლევის მეთოდად აღებულია რაოდენობრივი კვლევა, კერძოდ კი სატელეფონო ინტერვიუ, ელექტრონული შეტყობინება და ონლაინ კითხვარი. კვლევა ჩატარდა საქართველოს 2019-2020 წლის უმსხვილესი საგარეოდ მოვაჭრე კომპანიებში - ჯამში 797 კომპანიას გაეგზავნა შეტყობინება. მათგან 110-მა მიიღო მონაწილეობა და შედეგად მივიღეთ, რომ 50.9% იცნობს ფორვარდებს, თუმცა მათგან ვისაც სმენია მხოლოდ 21% იყენებს მას. ძირითადი მიზეზი იმისა თუ რატომ არ იყენებენ კომპანიები ფორვარდებს არის ფორვარდის სიძვირე და გარდა ამისა, ინფორმაციის სიმცირე, ვინაიდან, გამოკითხულთა 40.1%-მა არ იცის და არ სმენია ამ პროდუქტის შესახებ.

ასევე, მეტი ინტერესისთვის განხილულია ხალიკ ბანკისა და ვითიბი ბანკის მიდგომა სავალუტო ფორვარდებთან მიმართებაში, როგორც ამ პროდუქტის ძირითადი მიმწოდებლები (კომერციული ბანკების ჭრილში). შედეგად, ვნახეთ, რომ ბანკების თვალით პრობლემა კომპანიებშია, რადგან ისინი აწვდიან ამ პროდუქტს, თუმცა მოთხოვნა ბაზარზე საკმაოდ დაბალია, რომლის მიზეზი არის როგორც ახალი პროდუქტის გამოყენების შიში, ასევე, დროულად რეაგირების პრობლემა ქართული

კომპანიების მხრიდან. ბანკებიც თვლიან, რომ შედარებით ძვირია ეს პროდუქტი და ესეც არის მოთხოვნის სიმცირის ერთ-ერთი მიზეზი.

შედეგად, მივიღეთ, რომ მნიშვნელოვანია ინფორმირებულობა და ფინანსური რისკების მართვაზე მუდმივი ზრუნვა, ვინაიდან ეს წარმოადგენს კომპანიების განვითარების და სტაბილურად ფუნქციონირების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სავალუტო ფორვარდები, იმპორტი, ექსპორტი, დერივატივი, ვალუტის გაუფასურება, სავალუტო რისკი, რისკის მენეჯმენტი.

Abstract

Risk management is one of the main targets of companies in the world, as risk management is to ensure a stable work process. The paper discusses a currency insurance mechanism directly related to currency, such as currency forwarding. The latter is an important lever for companies involved in foreign trade.

The research issue is the level of information on currency forwards and the reasons for the lack of use in Georgian import and export companies. Quantitative research is used as a research method, in particular telephone interview, e-mail and online questionnaire. The survey was conducted in 2019-2020, the largest foreign trade companies in Georgia - a total of 797 companies were notified. 110 of them participated and as a result we found that 50.9% know the forwards, although of those who have heard only 21% use it. The main reason why companies do not use forwards is the high cost of forwarding and in addition, the lack of information, since 40.1% of respondents do not know and have not heard about this product.

Also of more interest is the approach of Khalik Bank and VTB Bank to foreign exchange forwards as the main suppliers of this product (in the context of commercial banks). As a result, we saw that the problem in the eyes of banks is in the companies, because they supply this product, although the demand in the market is quite low, which is due to the fear of using a new product, as well as the problem of timely response from Georgian companies. Banks also believe that this product is relatively expensive and this is one of the reasons for the low demand.

As a result, we have realized that it is important to be aware and take constant care in managing financial risks, as this is one of the main levers for the development and stable operation of companies.

Keywords: currency forwards, import, export, derivative, currency depreciation, currency risk, risk management.

მადლობა

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში მაქსიმალური ჩართვისა და საჭირო/რელევანტური რჩევებისთვის, პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს ვახტანგ ბერიშვილს, რომელიც არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

გარდა ამისა, მადლობას ვუხდი საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურს დროულად მოწოდებული ინფორმაციისთვის.

აუცილებლად მინდა მადლობა გადავუხადო ხალიკ ბანკის წარმომადგენელს ირაკლი ფარცვანიას, რომელმაც დაუზარელად მიპასუხა ყველა კითხვაზე და დეტალურად მომაწოდა ინფორმაცია ჩემს საკლვევ თემაზე. ამასთანავე, მადლობა ვითიბი ბანკის წარმომადგენელსაც მოწოდებული ინფორმაციისთვის, ვინაიდან მხოლოდ ამ ორმა ბანკმა ისურვა კვლევაში მონაწილეობა.

ბოლოს კი, მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე ყველა კომპანიის წარმომადგენელს.